პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 თებერვალი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 38 (9705) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმის მიზნით უნდა განვამტკიცოთ და უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, სასწავლებლის, სპორტული საზოგადოებების, საწარმოების არსებული ბაზები, გავაუმჯობესოთ ფიზკულტურული კადრების მომზადება, ამ მიზნით გავაერთიანოთ სახალხო განათლების ორგანოების, სსრ კავშირის სპორტსახკომის, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ძალისხმევა.
ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია არასასწავლო დროს საცხოვრებელ ადგილას აღმზრდელობითი მუშაობის ყოველმხრივი გამდიდრება. აქ მთავარია ყოველი ბავშვი, მოზარდი, ახალგაზრდა ჩავაბათ მათთვის საინტერესო მეცადინეობაში, შევავსოთ მათი თავისუფალი დრო ტექნიკური და მხატვრული შემოქმედებით, სპორტით, ტურიზმით. მუდმივი ყურადღება დავუთმოთ ახალგაზრდობის თვითმოქმედ გაერთიანებებს, ხელი შევუწყოთ მათი საქმიანობის საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანმიმართულებას, ჭაბუკების ჯანსაღი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას".

საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მიმდინარეობისა და მისი განხორციელების საქმეში პარტიის ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის 18 თებერვლის დადგენილებიდან

## ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა დამატებითი მატჩი

# იოსელიანის უპირატესობით

**წყალტუბოში** განახლდა საჭადრაკო ციებ-ცხელება — დაიწყო პრეტენდენტ ქალთა ტურნირის გამარჯვებულების ნანა იოსელიანისა და ელენა ახმილოვსკაიას დამატებითი მატჩი, რომელიც 6 პარტიისგან შედგება. ორთაბრძოლამ 21 თებერვალს აიღო სტარტი, 28-ში კი მეტოქენი უკანასკნელ პარტიას გაითამაშებენ. 24 და 27 თებერვალი გადადებული პარტიების დამთავრების დღეებია. თუ რომელიმე მოჭადრაკემ 3,5 ან 4 ქულა მოაგროვა, მატჩი ვადამდე შეწყდება, ხოლო პაექრობის ფრედ (3:3) დამთავრების შემთხვევაში გამარჯვებულად გამოცხადდება ნანა იოსელიანი, რომელსაც ძირითად ტურნირში მეტოქეზე უკეთესი დამატებითი მაჩვენებლები ჰქონდა (მიკრომატჩში ანგარიშით 1,5:0,5 სძლია ახმილოვსკაიას). **ხსვათა შორის, ტურნირის დებულების ეს პუნქტი სულ ახლახან გაირკვა — ჭადრაკის მოყვარულნი აღშფოთებასა და განცვიფრებას ვერ მალავდნენ, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხი ბოლო წუთამდე არ იყო გარკვეული.**

კვირას გაიმართა დამატებითი მატჩის პირველი პარტია (კენჭისყრით პირველ და ყველა კენტ შეხვედრას თეთრებით იოსელიანი ითამაშებს). მეტოქეებმა ძალიან სწრაფად გაითამაშეს ესპანური პარტიის ერთ-ერთი პრობლემური ვარიანტი, რომელსაც ზაიცევის ვარიანტი ჰქვია. დებიუტში გარკვეულ უპირატესობას იოსელიანმა მიაღწია. შუა თამაშში ახმილოვსკაიამ შეტევა წამოიწყო და მხედრის უზუსტო შეწირვა განახორციელა, თუმცა მალევე დაიბრუნა ფიგურა. იოსელიანი ბრწყინვალედ თამაშობდა და, არა მარტო უკუაგდო მეტოქის შეტევა, არამედ დიდი მატერიალური უპირატესობაც მოიპოვა. გარდაუვალი შამათის გამო, 38-ე სვლაზე ახმილოვსკაიამ საათი გააჩერა. ამრიგად, მატჩში დაწინაურდა ნანა იოსელიანი — 1:0.

• • •

**გუშინ წყალტუბოში შედგა პრეტენდენტთა მეორე პარტია, თეთრებით თამაშობდა ე. ახმილოვსკაია. იგი დამთავრდა ყაიმით — 1,5:0,5. წინაა ნ. იოსელიანი.**

## საქართველოს ფალავნები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე

# ევროპის ჩემპიონატის საგზურისათვის

**კლასიკურ ჭიდაობაში** ევროპის ჟუნიორთა ჩემპიონატის წინ ქალაქ კრასნოდონში, ჩვენი ქვეყნის ნაკრების დაკომპლექტების მიზნით, ჩატარდა საკავშირო შესარჩევი შეჯიბრება. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, კონკრეტულად ვინ გაემგზავრება პრესტიჟულ ტურნირზე, თუმცა საქართველოს რამდენიმე ფალავანმა უკვე გააკეთა სერიოზული განაცხადი: კრასნოდონში გამართული ასპარეზობის ჩემპიონები გახდნენ ქუთაისელი გიორგი კოღუაშვილი (90 კგ) და თბილისელი კობა გულიაშვილი (62). ჩვენმა ახალგაზრდა ფალავნებმა სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს, ეს ცნობები ტელეფონით გადმოგვცეს, ყველა პრიზიორის ვინაობას კი „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

## მიმდინარეობს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სროლის კვირეული



**სროლის** კვირეულის დღეებში განსაკუთრებით ხალხმრავლობა იგრძნობოდა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის დოსააფის ტირში. სპეციალური გრაფიკით აქ მოდიოდნენ და სროლაში მზე ნორმატივებს აბარებდნენ საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლეები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა კვირეულის დღეებში შიგასასკოლო პირველობებიც ჩაატარეს. ეს ფოტოსურათი 26 კომისრის სახელობის რაიონის დოსააფის ტირში ჩვენმა კორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა მაშინ გადაიღო, როცა ცეცხლის ხაზზე იყვნენ 78-ე სკოლის მოსწავლეები.

# თენგიზ თედორაძე — გამარჯვებული

**ცნობილი** ბულგარელი მოჭიდავის (კლასიკური სტილი) ნიკოლა პეტროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი სისტემატურად ტარდება სოფიაში. პეტროვი საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი იყო, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც კი ფლობდა. მის ხსოვნას ევროპაში დიდ პატივს სცემენ და მემორიალშიც, რომელიც წლეულს 26-ედ ჩატარდა, ბევრმა ქვეყანამ გამოაგზავნა მოჭიდავეები (სულ ბულგარეთის დედაქალაქს 18 გუნდი ესტუმრა).

საბჭოთა კავშირმა საასპარეზოდ ექვსი ათლეტი მიავლინა. ჩემპიონები ამ პრესტიჟულ ტურნირში გახდნენ: თბილისელი თენგიზ თედორაძე (90 კგ) და ლენინაკანელები — ლევონ ჯულფალაკიანი (68 კგ) და ალასი მანუკიანი (57).

ორ წონაში მსაჯებმა არ გამოავლინეს გამარჯვებული, ვინაიდან მეტოქეები შეჯიბრებიდან მოხსნეს. ამიტომ მეორე ადგილები მიეკუთვნათ რუმინელ მიხაი კისმაჩსა და ნიკოლაეველ ანატოლი რომანიუკს (ორივე — 52 კგ), მოსკოველ ვიქტორ მალოვსა და ბულგარელ სტეფან მიროსლავოვს (ორივე — 82 კგ).

დანარჩენ წონით კატეგორიებში პირველი ადგილები დაიკავეს: იტალიელმა ვინჩენცო მენცამ (48 კგ), ბულგარელმა ჟივკო ვანგელოვმა (62 კგ), ფრანგმა მარსელ მიშლემ (74), ბულგარელებმა ილიე ვასილიევმა (100 კგ) და კრასიმირ რადოევმა (130 კგ).

# თბილისი პატივს მიაგებს სამშობლოს დამცველებს

**ვ. ი. ლენინის** ძეგლთან, ვინც ახალი ტიპის არმიის მშენებლობის იდეები და პრინციპები საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხედრო პოლიტიკას, მივიდნენ 20 თებერვალს რევოლუციის ბელადის სახელობის მოედანზე თბილისში გამართული ზეიმის მონაწილეები, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70 წლისთავს. აქ შეიკრიბნენ რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პარტიის, არმიისა და ფლოტის ვეტერანები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და სასაზღვრო ოლქის გენერლები და ოფიცრები.

ილიჩის ძეგლის კვარცხლბეკი გვირგვინებით შეამკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს სახელით.

შემდეგ გვირგვინი მიიტანეს მარადიულ ცეცხლთან უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გამარჯვების პარკში.

●

იმავე დღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქალაქის საზოგადოებრიობისა და თბილისის გარნიზონის ნაწილების პირადი შემადგენლობის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სამშობლოს დამცველთა სახელოვან იუბილეს.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე.

კრება გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ალავიძემ.

საზეიმოდ ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირული ისტორიის შესახებ, იმაზე, თუ როგორ განაგრძობენ ამიერკავკასიელი მეომრები ქვეყნის მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების გმირების საბრძოლო ტრადიციებს, გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა კ. ა. კოჩეტოვმა.

იუბილარ მეომრებს მიესალმნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების მქსოველ-მოტორისტი ნ. მ. პანკოვა, საბჭოთა კავშირის გმირი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი პროფესორი ი. ნ. ციციშვილი, პოეტი რ. ბ. ამაშუკელი, მეომარი ინტერნაციონალისტი, (რომელიც ავღანეთში მსახურობდა, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი შ. ა. შაკიაშვილი, თბილისელი პიონერები და მოსწავლეები.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი.

**სსრ კავშირის** შეიარაღებული ძალების 70 წლისთავს მიეძღვნა კვირას თბილისში გამართული მძლეოსნური გარბენი, რომელშიაც დედაქალაქის ათივე რაიონის სპორტსკოლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ.

ამ მასობრივი ღონისძიების მონაწილენი სასტუმრო „აჭარასთან" შეიკრიბნენ. იქვე მიეცა სტარტი გარბენსაც. მშვიდობის და ვაკე-საბურთალოს გზის გავლით მოსწავლეებმა ესტაფეტა მიიტანეს გამარჯვების პარკში. იქ კი, უცნობი ჯარისკაცის საფლავი ნორჩებმა გვირგვინით შეამკეს. გამარჯვების პარკში გამართულ ცერემონიალში მონაწილეობდნენ ომისა და სპორტის ვეტერანები.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70-ე წლისთავის გამო




# პოლკოვნიკი კუპატაძე

**სოფელ** გუდრუხის მიდამოებში ბინდი ჩამოწოლილიყო. ტურისტებს მთებს შორის მოქცეულ ჭალაში, ადრიანი გაზაფხულის სურნელით რომ გაჟღენთილიყო, ბანაკი დაეცათ და კოცონი გაეჩაღებინათ. იდილიურ მყუდროებას არაგვის ბუბუნი და მოგიზგიზე ცეცხლში შეკეთებული შეშის ტკაცუნი არღვევდა, კოცონთან მიფიცხებულნი კი მდუმარედ ისხდნენ და ფიქრებში ჩაძირულიყვნენ. მათ შორის იყო თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი, პოლკოვნიკი პავლე კუპატაძე.

ვინ იცის, რაზე ფიქრობდა ცეცხლთან მიფიცხებული პოლკოვნიკი. იქნებ ახსენდებოდა ის ქარცეცხლიანი დღეები, რომლებზეც საუბრისას ამ არაგვის მთებივით ბუმბერაზ კაცს ხმა ებზარება და ცრემლის დამალვას ცდილობს.

მერე ვიღაცამ მდუმარება დაარღვია და ოფიცრის მუნდირში გამოწყობილ კაცს მისი საბრძოლო გზების გახსენება სთხოვა.

ვინც 1975-86 წლებში გუდრუხის, პალდოსა თუ ბოჭორმის ტყეებში, ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე გამართულ თბილისის ტურისტთა შეკრება-შეჯიბრებებზე ერთხელ მაინც ყოფილა, უთუოდ დაამახსოვრდებოდა პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი ჭაღარა დირექტორი. პენსიაზე გასვლის მერე თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორად რომ დაინიშნა, სამხედრო ფორმას მაინც ვერ შეელია. დირექტორის სავარძელში მას თითქმის მუდამ კოსტიუმში გამოწყობილს ნახავდით, აი, ტურისტთა შეკრება-შეჯიბრებაზე კი თავს უთუოდ სამხედრო ფორმითა და თავისი საინტერესო საუბრით დაგამახსოვრებდათ. დიდი სამამულო ომის პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე თავდადებით იბრძოდა. ბრძოლის ველზე მამაცობისთვის დაიმსახურა წითელი დროშის ორდენი, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი, უამრავი მედალი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. მერე, მშვიდობიან წლებში, დააჯილდოვეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელთი, IX და X ხუთწლედების საპატიო ნიშნებით, სხვა მრავალი საპატიო ნიშნითა და სიგელით, შარშან კი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

სამი შვილი გაზარდა, სამივე — ვაჟკაცი და ნამდვილი მოქალაქე: იური მხატვარია, სერგო — ინჟინერი, ვალერი კი მამის კვალს გაჰყვა, სამხედრო მოსამსახურეა, კაპიტანი. ყველანი დაოჯახებული არიან და პაპის მაგალითზე ზრდიან შვილებს.

...პავლე კუპატაძე იხსენებს დროს, „როცა ყუბანზე მიმდინარეობდა ბრძოლები..." ამ სათაურით 1970 წელს კრასნოდარში გამოცემულ კრებულში წიგნის ერთ-ერთი ავტორი პავლე კუპატაძე თავისი პირველი ბატარეის ბრძოლას აღწერს. ბატარეისას ვამბობთ, მაგრამ კუპატაძე ბრძოლის მეხუთე დღეს მთელ დივიზიონს ხელმძღვანელობდა, რადგან სამივე ბატარეის მეთაურები ბევრ სხვა ოფიცერთან ერთად გმირულად დაიღუპნენ.

— ოთხდღიანი უთანასწორო ბრძოლის მერე მთელ ძალებს მოვუყარე თავი, მტერი დღეში ოთხჯერ-ხუთჯერ გვბომბავდა, ზარბაზნებიდან და ნაღმსატყორცნებიდან ზუზუნით მოფრინავდა ჭურვები, ტანკები გამალებით მოიწევდნენ წინ. მაშინ თუ გადავრჩებოდი, არ მეგონა. მთავარსარდლის ბრძანება გვქონდა, ნაბიჯითაც არ დაგვეხია უკან. ბრძანებას ვასრულებდით. ბრძოლაში მტრის 140 თვითმფრინავი, 60 ტანკი და რამდენიმე მოტორიზებული ბატალიონი მონაწილეობდა. ამას მიათვალეთ ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ქვეითი ჯარი... მტერი ცდილობდა გაერღვია ჩვენი თავდაცვის ხაზი და პირდაპირი დარტყმით აეღო არმავირი. სულ ამ ხუთდღიან ბრძოლაში ჩვენი ნაწილის საზენიტო არტილერისტებმა ჰაერიდან მტრის ორმოცდაორი თავდასხმა მოიგერიეს. შვიდი თვითმფრინავი ჩამოაგდეს; პირდაპირი დამიზნებით ხუთი ტანკი, შვიდი ჯავშანტრანსპორტიორი, ავტომობილი და ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი მოსპეს. ამ ბრძოლისთვის კაპიტნის წოდება მომანიჭეს და წითელი ვარსკვლავის ორდენით დამაჯილდოვეს, მაგრამ ეს მერე, ბრძოლის მერე იყო, მანამდე კი, თავდაცვის მეხუთე დღის ბოლოს, 27 წითელარმიელი და ხუთი უმცროსი მეთაურიღა გადარჩა ცოცხალი.

უფროსი მეთაურებიდან სამნიღა ვიყავით და სამივე — დაჭრილები. დაგვრჩა სამი ქვემეხი და ორი ტყვიამფრქვევი, თანაც უკვე ალყაში მოვექეცით. ამ დროს ბრძანება მივიღეთ, რომ გადარჩენილი ჩვენი ქვემეხები აგვეფეთქებინა, სხვა იარაღი კი ჩაგვემარხა, რათა მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. მე, ვინც ცოცხალი გადარჩა, ალყიდან უნდა გამომეყვანა. შუაღამისას ჩვენი იარაღის ნაცვლად აეროდრომზე საწვავიანი ცისტერნები ავაფეთქეთ. გერმანელები ამან დააბნია. ამით ვისარგებლეთ და ალყას თავი დავაღწიეთ.

ეს ამბავი კი არმავირთან მოხდა. საზენიტო ქვემეხთან ვიდექი. მტრის თვითმფრინავებმა კიდევ ერთხელ მოიტანეს იერიში, კიდევ ერთხელ გადმოგვაყარეს ბომბები. ვხედავ, ერთი უშველებელი, ორასორმოცდაათკილოიანი ბომბი პირდაპირ ჩვენს თავზე მოფრინავს. სანგრებში თავის შეფარებაც ვერ მოვასწარით. მიწაში თავჩარგულები სიკვდილს ველოდებით, მაგრამ... მგონი, გადავრჩით. თავი წამოვყავი და თვალებს არ ვუჯერებ: ბომბი მიწაშია ჩაფლული. არ ფეთქდება. ახლოს მივედი, თურმე უვნებელი ყოფილა — გულიდან... ბეტონი ამოვაცალე. შიგ ბარათი იდო: „სალამი რუს მებრძოლებს ჩეხოსლოვაკიელი მუშებისაგან". იმ ჩეხოსლოვაკიელი მუშების სადღეგრძელოს მუდამ ვსვამ.

— სად და როგორ შეხვდით ომის პირველ და უკანასკნელ დღეს? — ვეკითხები პოლკოვნიკს.

— ორმოცდაერთის ოცდაერთ ივნისს, საღამოს, ჩვენი ნაწილის მორიგედ დამნიშნეს. დასავლეთ უკრაინის საზღვარზე ქალაქ პროსკუროვის მახლობლად სადგურ გრეჩანის მიდამოებში ვიდექით. თითოეული ჩვენგანი ალბათ გუმანითაც გრძნობდა მოახლოებულ ქარიშხალს. ოცდაორში დილის ოთხ საათზე კიევის სამხედრო ოლქიდან ტელეგრაფით გადმომცეს ბრძანება, რომ საბრძოლო, განგაშით დაუყოვნებლივ ფეხზე დამეყენებინა მთელი ნაწილი. ხუთი წუთიც არ გასულა და ცნობა მივიღე, გერმანელებმა საბჭოთა საზღვრის მოწინავე პოზიციების, ოდესის, კიევის, სევასტოპოლისა და სხვა ქალაქების დაბომბვა დაიწყესო. დილით შემცვალეს და ჩემი ბატარეით ნაწილის ეზოში საბრძოლო პოზიცია დავიკავე. თექვსმეტ საათზე გერმანელთა ბომბდამშენების საავიაციო ესკადრილიასთან პირველ ბრძოლაში ჩავებით. ცეცხლი გახსნეს მეორე და მესამე ბატარეებმაც. მტერმა უწესრიგოდ გადმოყარა ბომბები და ჟმერენსკის ტყისკენ მიიმალა. თუმცა ამ ბრძოლებში ფაშისტთა თვითმფრინავები ვერ ჩამოვაგდეთ, მაგრამ არც მათ მივეცით საშუალება, რომ ბომბები ჩამოეყარათ იმ ობიექტებზე, რომლებსაც ჩვენი ქვეგანაყოფები იცავდნენ. გამარჯვების დღეს, ცხრა მაისს, მდინარე დუნაიზე ქალაქ დიორში შევხვდი. ფაშისტთა კაპიტულაციის ამბავი რომ შევიტყვეთ, ჩვენს პატარა გარნიზონში სამხედრო პარადი ჩავატარეთ. იყო სიმღერა, ცეკვა და მხიარულება. თუმცა ჩვენი მორიგე არტილერისტები მაინც ფხიზლობდნენ, რათა, თუ საჭირო გახდებოდა, ცეცხლი გაგვეხსნა ჩეხოსლოვაკიის ტყეებში თავშეფარებული ფაშისტებისათვის, რომლებიც დივერსიებს აწყობდნენ.

* * *

მაშინ, გუდრუხში, კოცონთან მოსაუბრე პავლე კუპატაძე იმ ქარცეცხლიან დღეებს რომ იხსენებდა, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავი ახლოვდებოდა, მერე, 9 მაისს, გამარჯვების პარკში თბილისელი ტურისტები შეიკრიბნენ. გაიმართა საზეიმო მიტინგი, სიტყვა წარმოთქვა პავლე კუპატაძემ, რომელსაც მკერდი ჯილდოებით ჰქონდა დამშვენებული. მერე ტურისტებმა კუს ტბის მიდამოებში ლაშქრობა მოაწყვეს, პოლკოვნიკი კუპატაძე ხელმძღვანელობდა, ლაშქრობამდე კი ტურისტებს უთხრა, იცოდეთ აქ მიღებული ჩვევები მომავალ ჯარისკაცს უთუოდ გამოადგებაო.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

P. S. ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ: პავლე კუპატაძე საბჭოთა არმიის შექმნის 70 წლისთავის მედლით დაჯილდოვდა.

---

**ერთი წერილის კვალდაკვალ**

# „ახალი" მიწა



დღეს ეს მოედანი ავტოსადგომს უფრო ჰგავს.

პატივცემულო რედაქციავ! ეს ფოტოსურათი გადაღებულია ლენინის რაიონში გვაზაურის ქუჩის მეოთხე კორპუსის უკან. 1986 წელს ამ ტერიტორიაზე დაიწყეს სპორტული მოედნის მშენებლობა. მუშაობა ერთხანს ურიგოდ არ მიდიოდა: აგრიალდა ბულდოზერი, ადგილი მოასწორეს, შემოღობეს, ხრეში შემოზიდეს. და აი, როცა მოედნის დამთავრებას ბავშვები დღედღეზე ელოდნენ, მშენებლებმა სამუშაო მიატოვეს, 1987 წლიდან კი საერთოდ არავინ გამოჩენილა. ამ ხნის განმავლობაში გაკეთებულიც დაინგრა. ნუთუ ასე ძნელი იყო კეთილი საქმის ბოლომდე მიყვანა? არ ვიცით, ვის მივმართოთ. ჩვენთვის არც ის არის ცნობილი, ვინ აშენებდა. იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ?

**ვალიკო დათუაშვილი,**
მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მუშა.

• • •

რას ვიფიქრებდით, თუ ეს პატარა წერილი ამდენ სადავიდარაბოს გაგვიჩენდა. თუმცა, ჯობს თავიდან დავიწყოთ.

გვაზაურის ქუჩას ადვილად მივაგენით, არც სამოედნე ადგილის პოვნა გაგვჭირვებია. სიტუაცია ზუსტად ემთხვეოდა წერილში აღწერილს. ისღა დაგვრჩენოდა, განმარტება მშენებლებისთვის გვეთხოვა. ცხადია, მაშინ არ ვიცოდით, რომ... ერთი სიტყვით, აქვე ჩვენს დედაქალაქში აღმოვაჩინეთ „ახალი" მიწა, რომელიც... საერთოდ არავის ეკუთვნოდა. აქედან დაიწყო ჩვენი ოდისეა. პირველ ყოვლისა, ცხადია, ამ დასახლების № 2 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორას ვეწვიეთ. კანტორის უფროსმა რეზო პაპაშვილმა გულდასმით მოგვისმინა და, როდესაც ჩვენი ვიზიტის მიზანი ბოლომდე გაიგო, გვითხრა: ეს ტერიტორია ჩვენს დაქვემდებარებაში არ შემოდის, კიროვის ჩარხსაშენებელი ქარხნისაა და, საერთოდ, პირველად თქვენგან მესმის, რომ აქ მოედანს აშენებენო. მერე დასძინა: ჯობს ლენინის რაიონის აღმასკომში კეთილმოწყობის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში მიბრძანდეთ, ყველაფერს ისინი გეტყვიანო. კეთილმოწყობის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგემ რამაზ ჭელიძემ თავის მხრივ გაიკვირვა: ამ მოედანთან ჩვენ საქმე არ გვქონია, ისევ ჩვენი რაიონის საბინაო ტრესტის მმართველს უნდა მიაკითხოთო. ტრესტის მმართველმა რევაზ ბოჭორიშვილმა არანაკლებ გაიოცა ეს ამბავი, მაგრამ ჩვენი გაჭირვება გულთან მიიტანა და თანამშრომელი გამოგვაყოლა, კიდევ ერთხელ ეწვიეთ მშენებარე მოედანს, არ შეიძლება ახლომახლო მცხოვრებთაგან ვინმემ მშენებლების ვინაობა არ იცოდესო....

უპირველეს ყოვლისა, წერილის ავტორის ვალიკო დათუაშვილის ოჯახს ვესტუმრეთ. ოჯახის უფროსი შინ არ დაგვხვდა. სამწუხაროდ, დიასახლისმა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე პასუხი ვერ გაგვცა, მაგრამ მოულოდნელად აივანზე გაგვიყვანა და გვკითხა:

— ხედავთ ამ დასახლებას?

ცხადია, ვხედავდით.

— ამხელა დასახლებაში ერთი სპორტული მოედანიც კი არ არის, რომ ბავშვმა მუხლი გაშალოს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თერთმეტი მრავალსართულიანი კორპუსი აშენდა და არც არქიტექტორებმა, არც მშენებლებმა მოედნის მოწყობაზე არ იფიქრეს. ამ მოედნის მშენებლობა რომ დაიწყეს, ყველას უხაროდა, მაგრამ რად გინდა, მშენებლები ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არ ვიცით.

ეტყობა, მთლად „განწირულები" არ ვიყავით. გარეთ გამოსულთ შეგვხვდა კაცი, რომელმაც ამ ბნელით მოსილ საქმეს ნაწილობრივ ნათელი მოჰფინა. ეს ლვთისნიერი ადამიანი კიროვის ჩარხსაშენებელი ქარხნის მესამე საამქროს ზეინკალი რობინზონ ჩერქეზიშვილი აღმოჩნდა. ამ მოედნის მშენებლობა სწორედ მისი თაოსნობით დაუწყია ქარხნის სამშენებლო-სარემონტო ბრიგადას. და აი, ჩვენ კიროვის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორის მოადგილის ჟანი მიმინოშვილის კაბინეტში ვართ.



გადანგრეული ღობე მშველელს ელოდება.

— ეს წერილი ცოტა გადაჭარბებულია, — გვითხრა მასპინძელმა, — დროებით შევწყვიტეთ მშენებლობა, მიწაში ჩამალულმა მაღალი ძაბვის კაბელმა შეგვიშალა ხელი, რომელიც მებულდოზერემ ნიადაგის მოსწორების დროს აღმოაჩინა. შემდეგ კი, მოგეხსენებათ, თოვლი მოვიდა.

— მოედნის პროექტში არ იყო მითითებული, რომ ამ ტერიტორიაზე ორი კაბელი გადიოდა?

— პროექტი არა გვაქვს, ისე ვაშენებდით.

— ხომ შეიძლებოდა ამ ამბავს უბედური შემთხვევა მოჰყოლოდა? რატომ არ მიმართეთ ლენინის რაიონის აღმასკომს, რომ ეს კეთილშობილური საქმე კანონითაც ყოფილიყო განმტკიცებული?

— ჩვენს მშენებლებს მდიდარი გამოცდილება აქვთ და საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ. რაც შეეხება მოედანს, პირველი კვარტალის ბოლოს დავამთავრებთ.

— სამოედნე ადგილი ხომ ქარხნისაა? — მივმართეთ ბატონ ჟანის იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს მიწის კანონიერ პატრონს აღმოვაჩენდით.

— ეს ტერიტორია ავჭალის გზატკეცილზე ჩვენი ქარხნის მუშამოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის (№ 8) უკან მდებარეობს, მაგრამ ადგილი არც ჩვენ გვეკუთვნის. ასე რომ ყოფილიყო, საახალწლოდ № 1 სახლის უკან (მოედნის გაყოლებაზე — ჯ. კ.), რომელიც ასევე ჩვენი ქარხნისაა, აღმასკომი თავისი ინიციატივით ასფალტს არ დააგებდა.

ამ დავაში ჯობს არ ჩავერიოთ. არც იმაზე დავა მოგვცემს ხელს, მოსახლეობა რომ ამტკიცებს, გასულ წელს მშენებლები თვალით არ დაგვინახავს და ქუჩაში რომ შეგვხვდნენ, შეიძლება ველარც ვიცნოთო. დარწმუნებული ვართ, ქარხნის დირექცია ამ საქმეს მიხედავს. ჩვენ ის გვაწუხებს, მოსახლეობა მტკივნეულად განიცდის ბავშვებს რომ სათამაშო ადგილი არა აქვთ, ხოლო ისინი, ვისაც ამ საქმის მოგვარება ევალება, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ ჩქარობენ...

**ჯემალ კასრაძე.**

---

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

## „მესტია ელის, მესტიას სჯერა"

გასული წლის 2 ოქტომბერს „სოვეტსკი სპორტში" ამ სათაურით გამოქვეყნებული იყო წერილი, რომელიც ეხებოდა მესტიაში მთამსვლელთა ბაზის შექმნის აუცილებლობის საკითხს. აღნიშნული წერილი გადმობეჭდა „ლელომაც".

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს კოლეგიამ 16 იანვრის დადგენილებით მესტიის ტურისტული ბაზა გარდაქმნა ტურისტთა და მთამსვლელთა სასწავლო-საწვრთნელ ბაზად.

საქართველოს სპორტსახკომთან ერთობლივად დამტკიცდა ბაზის დებულება და განისაზღვრა მისი ფუნქციონირების ვადები (1 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე).

ბაზა მოემსახურება სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის მოყვარულებს სპეციალური საგზურებით, რომლებიც რეალიზებული იქნება როგორც საქართველოს ალპიური კლუბის, ასევე ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს მიერ.

**დ. კოტეტიშვილი,**
ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

---

## მოკლედ

**ამბროლაურის** რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტული კომპლექსის მოედანზე გაიმართა რაიონის პირველობა მინიფეხბურთში ადგილობრივ გაზეთ „კომუნიზმის დროშის" პრიზზე. გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო წარმოება-დაწესებულებათა და ქუჩების 18 გუნდმა.

ფინალში ერთმანეთს სტალინის ქუჩისა და 136-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის გუნდები შეხვდნენ. გაიმარჯვეს სტალინის ქუჩის ფეხბურთელებმა — 4:3 და მეორედ დაეპატრონენ გარდამავალ პრიზს.

**იური ივანიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I ყრილობის წინ

# ხელმძღვანელები გვეხმარებიან, ახლა მთავარია ჩვენი ინიციატივა

◉ ალმოიფხვრა თუ არა ფორმალიზმი მუშაობაში და რა უნდა ვილონოთ, რომ საბოლოოდ გზა მოეჭრას სიყალბეს?

◉ რა გაკეთდა, რა სიახლეებია თქვენს სისტემაში?

◉ გარდაქმნას არ ელოდებიან. ადგილებზე თავად გარდაქმნიან მუშაობას. რა გაკეთდა მუშაობის გარდაქმნისათვის თქვენს სისტემაში?

ამ კითხვებზე უპასუხებს საქართველოს საზღვაო და სამდინარე ფლოტის რესპუბლიკური პროფკავშირების მშრომელთა ფიზაღზრდის განყოფილების უფროსი, საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I ყრილობის დელეგატი ლევან სალუქვაძე.

**სიყალბე** და ფორმალიზმი მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უმთავრესი ხარვეზია. დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემა ყველა ჩვენგანს აღელვებს, ამიტომ ყველანი პრინციპულად უნდა ვებრძოლოთ მას. სიყალბე, უპირველეს ყოვლისა, ციფრებია — არარეალური, მრავალნიშნა რიცხვები, რომლებიც მოჩვენებითი კეთილდღეობისთვის არის მოგონილი და საქმის წინსვლას ამუხრუჭებს. ოთხი წლის წინ გადავწყვიტეთ ბრძოლა გამოგვეცხადებინა მისთვის. ხელმძღვანელებმაც მხარი დაგვიჭირეს, ასე რომ, მოთხოვნები — ჩვენი საქმიანობის ორიენტირი, რეალური გახდა. ეს საუკეთესო სტიმული გამოდგა — მუშაობა უფრო საინტერესოდ და ნაყოფიერად წარიმართა, ხალისიც მოგვემატა და საქმეც გამოსწორდა: გაიზარდა რიტმული ტანვარჯიშის, სპორტული თევზაობის, სირბილის, საკრეისერო ნავების ჯგუფების წევრთა რაოდენობა, გაიხსნა ფასიანი ჯგუფებიც. დავიწყეთ ბაზების რეკონსტრუქცია — განახლდა ბათუმის, სოხუმისა და ფოთის საიალქნო კლუბები, „ვოდნიკის" სანიჩბოსნო ბაზა ფოთში, აქვე, „ვოდნიკის", სტადიონზე მონტაჟდება განათება და ეწყობა სათადარიგო მოედანი. გადაწყდა, რომ საქართველოს სანაოსნოს გამოთვლითი ცენტრის სპორტულ დარბაზს ბათუმელი მუშა-მოსამსახურეებიც გამოიყენებენ. ბათუმშივე, პიონერთა პარკის ტბაზე აშენდება სანიჩბოსნო ბაზა, ფოთის ნავსადგურის საიალქნო კლუბში დაიწყება მეორე რიგის სამუშაოები.

ჩვენ, ზღვისპირელები, ბუნებრივია, საქმიანობას ისე წარვმართავთ, რომ ზღვა მაქსიმალურად „დავტვირთოთ" — ესე იგი, მშრომელთა გასაკაჟებლად მაქსიმალურად გამოვიყენოთ წყლის „სიკეთე", მაგრამ აქაურ კლიმატურ პირობებს თუ გავითვალისწინებთ, სპორტული დარბაზების გარეშე წარმოუდგენელია გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლა. სწორედ ეს ფაქტი — დარბაზების არქონა გვაფერხებს ყველაზე მეტად, ამიტომ ვცდილობთ გამოვიყენოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული დარბაზები. ამ მიზნით ხელშეკრულება დავდეთ აჭარის განათლების სამინისტროსთან. ახლა ჩვენი ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ჯგუფების წევრები საერთო-ფიზიკურ მომზადებას სკოლების სპორტულ დარბაზებში გადიან. პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებაში მშრომელთა გაჯანსაღების საქმის გარდაქმნა დიდი საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა დაუხმარებლად, ფაქტობრივად, შეუძლებელია. კონკრეტულ საქმეებს დავიმოწმებ და ვფიქრობ, ნათელი გახდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს დახმარება. საქართველოს სანაოსნოს უფროსის ჯემალ ჭილვარიასა და ფოთის ნავსადგურის უფროსის ვალერი გეგიძის აქტიურობა და ხელშეწყობა რომ არა, ზემოთ ნახსენები ბაზების რეკონსტრუქცია მნიშვნელოვნად შეფერხდებოდა.

ამავე დროს, ერთ გარემოებაზე განსაკუთრებით უნდა გავამახვილო ყურადღება: ხელმძღვანელთა და დამხმარე პირთა ინიციატივას ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციათა მუშაკების ინიციატივაც უნდა „მივაშველოთ" და მათი შესაძლებლობები ჩვენს ენერგიაზე, ახლებურად მუშაობის უნარსა და სურვილზე „გავამრავლოთ". ახლა ხომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადგილებზე მომუშავეთა ინიციატივას. ყველა ჩვენგანმა იცის, ზემოდან მითითებებს თუ დაელოდე, დროს ფეხს ვერ აუწყობ.

## ნაკრების პირველი მატჩი

**იტალიის** ქალაქ ბარიში 20 თებერვალს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი ნაკრების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა იტალიის ეროვნულ გუნდთან. ეს იყო ჩვენი ქვეყნის ნაკრების პირველი მატჩი 1988 წელს.

მეტოქეთა ძალები ამ დღეს აშკარად უთანაბრო იყო. საბჭოთა ფეხბურთელები ახლა მხოლოდ წინასასეზონო მზადებას გადიან, იტალიაში კი შუაგული ჩემპიონატია. ეს გარემოება აშკარად დაეტყო მატჩის მსვლელობას, მასპინძლები გაცილებით უფრო ძლიერად გამოიყურებოდნენ.

იტალიელებმა პირველ წარმატებას დასაწყისშივე მიაღწიეს, მიმდინარეობდა შეხვედრის მე-6 წუთი, როცა საბჭოთა ნაკრების კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. გოლი გაიტანა ბარეზიმ. 12 წუთის შემდეგ ლიტოვჩენკომ ანგარიში გაათანაბრა — 1:1, მაგრამ მასპინძლები შემდგომში საფუძვლიანად ფლობდნენ უპირატესობას, გამარჯვებაც მათ დარჩათ — 4:1. 2 ბურთი გაიტანა ვიალიმ, ერთი — ბერგომიმ.

იტალიის პრესა ვრცელ კომენტარს უკეთებს ამ მატჩს. თამაშს ესწრებოდა დანიის ნაკრების მწვრთნელი ზ. პიონტეკი, რომელმაც თავისი მოსაზრება გამოთქვა „კორიერე დელო სპორტში": „სსრ კავშირის ახლანდელი ნაკრები გაცილებით სუსტია იმასთან შედარებით, რომელიც 1986 წელს გამოდიოდა მექსიკაში. ფეხბურთელებს არ ჰყოფნიდათ სისწრაფე, ბევრი მათგანი შეზღუდულად მოქმედებდა. შესაძლოა აქ თავი იჩინა მათი წინასასეზონო მზადების ხარვეზებმა, გადაღლამ.

შემდეგ „კორიერე დელო სპორტი" აღნიშნავს, რომ იტალიის ნაკრების მოთამაშეებში მატჩის შედეგმა ზედმეტი თვითდამშვიდება არ უნდა გამოიწვიოს. სინამდვილეში საბჭოთა ფეხბურთი ისეთი არაა, როგორიც ქალაქ ბარიში ვიხილეთ, კერძოდ, გუნდის შემაკავშირებელი რგოლები ვერ თამაშობდნენ სრული სიძლიერით.

„უნიტა" წერს, რომ საბჭოთა გუნდის ერთ-ერთი სუსტი მხარეა უყურადღებო თამაში მინდვრის შუაგულში, რასაც მისი მთლიანი ჩავარდნა მოჰყვა. დაცვა მინდობილია ისეთ გამოცდილ მოთამაშეებზე, როგორებიც არიან ხიდიატულინი და ბალტაჩა, მაგრამ ამ რგოლში უამრავი შეცდომა იყო, რამაც იტალიელებს გადამწყვეტი ბურთების გატანის შესაძლებლობა შეუქმნა. რაც შეეხება მასპინძლებს, მათ ენთუზიაზმიც საკმარისად გამოავლინეს, მოთამაშეთა ათლეტური მომზადებაც მაღალ დონეზეა, გუნდს ნიჭიერი შემსრულებლებიც ჰყავს. ჩვენმა გუნდმა კარგად გამოიყენა მეტოქის სისუსტეები, არ აპატია მას არც ერთი შეცდომა, მაგრამ დამაფიქრებელია ასეთი ფაქტი, როცა ლიტოვჩენკომ საპასუხო ბურთი გაიტანა, ტაქტიკურმა უპირატესობამ სტუმართა მხარეს გადაინაცვლა და მათი რამდენიმე ფლანგური გარღვევის შემდეგ „სკუადრა აძურა" ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

„უნიტას" მხარს უჭერს „პაეზე სერა": ეს 20 წუთი მატჩის ყველაზე ძნელი მონაკვეთი იყო, საბჭოთა ნაკრების ყველაზე სახიფათო თავდამსხმელი ლიტოვჩენკო აშკარად ემუქრებოდა მეკარე ძენგას კარს, მაგრამ იტალიელებმა ტაქტიკურად სწორად ითამაშეს დაცვაში, ხოლო ვიალის შესანიშნავმა გოლმა მთლიანად გამოასწორა მდგომარეობა".

საერთოდ, „პაეზე სერა" ხაზს უსვამს, რომ მატჩის შედეგი უფრო ვიალის მიერ პირველ ტაიმში გატანილმა ორმა გოლმა განსაზღვრა. ამის შემდეგ მასპინძელთა თამაში მაღალ დონეზე წარიმართა.

**კაირო.** აქ შედგა სსრ კავშირის ოლიმპიელ ფეხბურთელთა მეორე მატჩი ეგვიპტის ეროვნულ ნაკრებთან. თამაში დამთავრდა საბჭოთა გუნდის გამარჯვებით — 2:1 (1:1). 30-ე წუთზე ანგარიში გახსნა ტახერ აბუ ზეიდმა, რამდენიმე წუთის შემდეგ საპასუხო ბურთი გაიტანა ივანაუსკასმა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისშივე, 46-ე წუთზე, მასპინძელთა კარი მეორედ აიღო კოლივანოვმა.

**ბრძელდება ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები.**

**პორტუგალია**

21-ე ტურის მატჩები დამთავრდა ასე: „ბრაგა" — „სალგეიროში" 1:1, „შავიში" — „პანაფელი" 2:2, „ელვაში" — „რიო ავე" 0:0 „სპორტინგი" — „ესპინიო" 0:0, „ფუნშალი" — „ფარენზე" 1:1, „პორტიმონენსე" — „კოიმბრა" 1:1, „სეტუბალი" — „ბენფიკა" 0:2, „კოვილია" — „ბელენენსეში" 1:2, „პორტო" — „გიმარაეში" 3:1, „ვარზიმი" — „ბოავიშტა" 1:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „პორტო" | 21 | 52-11 | 37 |
| „ბენფიკა" | 21 | 32-10 | 31 |
| „ბოავიშტა" | 20 | 20-13 | 26 |
| „შავიში" | 21 | 42-22 | 26 |

**ესპანეთი**

გთავაზობთ ეროვნული ჩემპიონატის 23-ე ტურის შედეგებს: „კადისი" — „მალიორკა" 0:0, „საბადელი" — „ლოგრონესი" 0:1, „ატლეტიკო მადრიდი" — „ვიგო" 2:1, „სევილია" — „სან სებასტიანი" 1:0, „ოსასუნა" — „რეალი" 2:1, „ვალენსია" — „ბარსელონა" 1:1, „სარაგოსა" — „ხიხონი" 2:0, „ესპანიოლი" — „მურსია" 2:0, „ატლეტიკ ბილბაო" — „ბეტისი" 2:0, „ლას პალმასი" — „ვალიადოლიდი" 4:0.



| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" | 23 | 58-16 | 38 |
| „ატლეტიკო მადრ." | 23 | 44-18 | 34 |
| „სან სებასტიანი" | 22 | 40-18 | 31 |
| „ატლეტიკ ბილბაო" | 23 | 34-25 | 29 |

**საბერძნეთი**

გაიმართა XIX ტურის რვა შეხვედრა: „აეკი" — „არისი" 2:1, „ეთნიკოსი" — „პანათინაიკოსი" 1:0, „ირაკლისი" — „კალამარია" 2:0, „ლარისა" — „როდოსი" 1:0, „ოლიმპიაკოსი" — „ვერია" 2:0, „პანიონისი" — „პანაჰაიკი" 0:0, „პანსერაიკოსი" — „კრეტა" 0:1, „პაოკი" — „ლევადია" 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლარისა" | 19 | 38-14 | 29 |
| „კრეტა" | 19 | 41-24 | 26 |
| „აეკი" | 19 | 36-22 | 26 |
| „პაოკი" | 19 | 44-18 | 25 |

**შოტლანდია**

„დანდი" — „სელტიკი" 1:2, „დანდი იუნაიტედი" — „დანფერმლაინი" 3:0, „ჰართსი" — „აბერდინი" 2:2, „მოზერეული" — „ჰიბერნიანსი" 0:2, „რეინჯერსი" — „სენ მირენი" 4:0. „მორტონისა" და „ფალკირკის" შეხვედრა გადაიდო.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 32 | 59-20 | 51 |
| „რეინჯერსი" | 33 | 64-22 | 48 |
| „ჰართსი" | 33 | 62-26 | 47 |

საკუთარი ინფორმაცია.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში



## კიევსა და მინსკში

**კიევსა** და მინსკში განახლდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. მესამე ტურის მატჩებს თბილისელები მინსკში ატარებენ. ისინი ასპარეზობის პირველ დღეს ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს, შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის სპორტული კლუბის (სევასტოპოლი) წარმომადგენლებს შეხვდნენ. ამ მატჩში, თუ არ ჩავთვლით მეორე პერიოდს, თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, შეხვედრის ბედი კი სწორედ მეორე პერიოდში გადაწყდა, რომელიც თბილისელებმა სამი ბურთის სხვაობით მოიგეს და საბოლოოდ მათვე გაიმარჯვეს — 8:4 (1:1, 5:2, 1:0, 1:1).

მინსკში დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „უნივერსიტეტი" (მოსკოვი) — „დინამო" (ალმაათა) — 9:10 (2:3, 4:2, 1:2, 2:3), „მოსკვიჩი" (მოსკოვი) — რესპუბლიკური უმაღლესი სპორტული დაოსტატების გუნდი (მინსკი) — 6:8 (1:3, 2:1, 1:2, 2:2).

მომდევნო მატჩში თბილისელები ალმაათელ თანაკლუბელებს შეხვდნენ. ამ შეხვედრამდე ქართველი წყალბურთელები მეტოქეებს მხოლოდ ქულით ჩამორჩებოდნენ და ამიტომ მათი ბრძოლა დიდ ინტერესს იწვევდა. სამწუხაროდ, ამ მატჩში თბილისელებს მეორე პერიოდის დასასრულს, როცა ანგარიში იყო 5:3 ალმაათელთა სასარგებლოდ, კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდათ, მაგრამ მესამე პერიოდი ჩვენმა წყალბურთელებმა პირწმინდად წააგეს და ფარ-ხმალი დაყარეს. საბოლოოდ ალმაათელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 10:4 (4:1, 1:2, 4:0, 1:1). ამ დღეს სევასტოპოლელები „მოსკვიჩთან" შეხვედრაში დამარცხდნენ — 5:7 (1:5, 0:1, 0:0, 4:1), ხოლო მასპინძლები „უნივერსიტეტთან" — 10:12 (3:2, 3:2, 2:6, 2:2).

კიევის ქვეჯგუფის შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო" (ლვოვი) — კკფ (ბაქო) — 8:6 (3:0, 3:1, 0:2, 2:3), „დინამო" (მოსკოვი) — ცსკ ვმფ — 9:9 (3:2, 4:3, 1:3, 1:1), „დინამო" (კიევი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — 7:6 (1:2, 1:1, 2:2, 3:1), „ლოკომოტივი" — ცსკ ვმფ — 6:14 (2:3, 2:3, 1:5, 1:2), კკფ — „დინამო" (მოსკოვი) — 12:14 (3:3, 4:6, [illegible], 1:1), „დინამო" (ლვოვი) — „დინამო" (კიევი) — 6:5 (0:0, 2:1, 1:1, 3:3).

## ლეგენდა კი ცოცხლობს

### შეხვედრა ვეტერანთან

**პატარა** ბორის პაიჭაძის გვერდით ვზივარ საზეიმო შეხვედრაზე, რომელიც მის პაპას, დიდ ფეხბურთელს გაუმართეს. პატარა ბორისი უკვე აღარ არის პატარა — იგი 27 წლისაა. მაგრამ მე მაინც მეშინია, რომ ცრემლები არ მოერიოს: ეს-ესაა ეკრანზე, დოკუმენტურ ფილმში გამოკრთა მისი ახალგაზრდა, ტრაგიკულად დაღუპული მამის სახე...

მაგრამ განა მამაკაცები ტირიან?

და ჩვენ უხმოდ ვუცქერით ეკრანს, სადაც ახალგაზრდა, ქოჩრიან კაპიტან ბორის პაიჭაძეს ზედიზედ გააქვს გოლები. ჩვენ ვუცქერით იშვიათ კადრებს, დიდად საინტერესო კადრებს პაიჭაძის საფეხბურთო ცხოვრებაზე, მაგრამ მისი პირადი ცხოვრების ბედნიერ და ტრაგიკულ მომენტებზე თითქმის არაფერია.

დოკუმენტები ცოტაა, ლეგენდა კი მაინც ცოცხლობს.

**ჭაბუა ამირეჯიბი, მწერალი:** ჩემი თაობის ხალხი ბორის პაიჭაძის ცხოვრების მაგალითზე გაიზარდა. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ იგი დიდი ფეხბურთელი იყო, რაც მთავარია, იგი დიდი ადამიანია.

**მერაბ ბერძენიშვილი, მოქანდაკე:** მსოფლიოს მრავალ სტადიონზე მინახავს სახელგანთქმულ სპორტსმენთა მონუმენტები. თუ როდისმე იმას მივაღწევთ, რომ ასეთი არქიტექტურული ანსამბლები ჩვენშიაც დაიდგას, ვფიქრობ, ასეთ პატივს პირველ რიგში სწორედ ბორის პაიჭაძე იმსახურებს.

**ლევან ხაინდრავა, მწერალი:** ჩემთვის, შორეულ ჩინეთში გაზრდილი კაცისთვის პირველი ნაცნობი ფეხბურთელი — დასაწყისში მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაციებიდან — იყო ბორის პაიჭაძე. მასში ვხედავდი საბჭოთა ადამიანის, ქართველი სპორტსმენის საუკეთესო თვისებებს. მან გამაცნო და შემაყვარა იმხანად ჩემთვის უცნობი საქართველო.

**ელენე გოკიელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი:** ერთ-ერთ შეჯიბრებაზე მრავალჭიდში გამოვდიოდი და პროგრამის მიხედვით 800 მეტრიც უნდა მერბინა. ეს „ჩემი" დისტანცია არ იყო და ძალიან ვღელავდი. გარბენი ფეხბურთის მატჩის დროს, შესვენებაზე მოეწყო. იმ დღეს ჩვენი „დინამო" თამაშობდა და ფეხბურთელები გასახდელში არ წავიდნენ, ჩემს საქომაგოდ დარჩნენ. ბორის პაიჭაძე წარამარა მოედნის კიდესთან მორბოდა და მამხნევებდა: „ჩემი ძალა შენ! ჩემი ძალა შენ!"

...ჩვენ ვსხედვართ ბორის პაიჭაძესთან საზეიმო შეხვედრაზე თბილისის კინოს სახლში, ვუსმენთ გამომსვლელებს და დროდადრო ვუცქერით ეკრანს. იქ ქოჩრიან ყმაწვილს ზედიზედ გააქვს გოლები. ვინ თქვა, რომ ჩვენ, პელესა და მარადონას თამაშის მნახველებს, უკვე ვერაფრით გაგვაკვირვებ? ვინ თქვა, რომ დრო შლის მეხსიერებიდან საყვარელ სახეებს?

არსებობს დედამიწაზე ყავლგაუსვლელი ფასეულობანი...

**პეპი ბოჟორიშვილი.**

## პირველობა გოლიათების გარეშე

**საქართველოს** ყველა სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელები მსუბუქი წონის ფალავნების ნაკლებობას ჩივიან. იმასაც ამბობენ, რომ ამ სამწუხარო ტრადიციას კარგა ხნის ისტორია აქვს და ამიტომ გუნდურ პირველობებში ასეთი „დეფიციტი" ძალზე მტკივნეულად მოქმედებს ჩვენი ნაკრებების საერთო შედეგებზეო. იმისთვის, რომ საქმე როგორმე გამოსწორდეს, ცალკე საქართველოს პირველობებიც კი იმართება მხოლოდ მსუბუქ წონებში. ასეთი შეჯიბრებები, რა დასამალია, ჯერ კიდევ სასურველ ნაყოფს ვერ გვაძლევს, მაგრამ მწვრთნელები ყოველ შეჯიბრებაზე რამდენიმე მოჭიდავეს მაინც გამოარჩევენ ხოლმე და თავის ბლოკნოტში ჩაინიშნავენ. მით უმეტეს, რომ ასეთ პირველობებში რესპუბლიკის ნაკრების წევრები — უკვე ნაცნობი მოჭიდავეები არ მონაწილეობენ და სარბიელი უფრო ახალბედებს ეთმობათ.

მორიგი ასეთი ასპარეზობა გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელსაც საგარეჯომ უმასპინძლა. გთავაზობთ შეჯიბრების პრიზიორებს:

**48 კგ.** გ. ბერუაშვილი (თბილისი); ა. კაპოიანი (გორი); 3. ვ. ქუმარიტოვი (ცხინვალი).

**52 კგ.** მ. ქოჩიაშვილი (თბილისი); 2. ა. ტლაშაძე; გ. მძინარიშვილი (ორივე — გორი).

**57.** 1. მ. კოპაძე (გორი); 2. ლ. ხოჯავა (ქუთაისი); 3. რ. მჟავანაძე (ქობულეთი).

**62.** 1. რ. ჰუნჰულია (ქუთაისი); 2. ი. საბაშვილი (გორი); 3. ზ. ზურაბიშვილი (რუსთავი).

**68.** ზ. ავაზაშვილი (გორი); 2. კ. მაჭარაშვილი (თბილისი); 3. თ. ჯიოევი (ცხინვალი).

# კალგარი—88

## ჩემპიონები ჩემპიონები უნდა იყვნენ

**ჰოკეისტთა** ოლიმპიურ ტურნირზე საგანგებო შემთხვევა მოხდა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დისკვალიფიკაცია მისცა პოლონელ ჰოკეისტს იაროსლავ მორავეცკის. საფრანგეთის ნაკრებთან თამაშის შემდეგ დოპინგზე შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მას ანაბოლიური საშუალება მიუღია.

მორავეცკი 18 თვის განმავლობაში საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, პოლონეთისა და საფრანგეთის გუნდების შედეგი (6:2) გაუქმდა, გამარჯვებულს ჩამოერთვა ორი ქულა, მაგრამ ეს ორი ქულა დამარცხებულს არ დაემატა.

პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა ლეშეკ ლეიჩიკმა განაცხადა, რომ უჭირს რაიმე კომენტარი გაუკეთოს ამ ფაქტს. „ყველა ჩვენმა ჰოკეისტმა, თქვა მან — კალგარიში გაფრენის წინ გაიარა ანალოგიური ტესტი. მაშინ ყველაფერი წესრიგში იყო. მე ვესაუბრე იაროსლავს. იგი გუნდში საუკეთესო მოთამაშეა. დარწმუნებული ვარ, აქ რაღაც გაუგებრობაა“.

აპ-ს სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში იმავე ლეიჩიკმა განაცხადა, რომ მორავეცკი ერთადერთი ჰოკეისტი იყო, რომელიც დაესწრო ადგილობრივ პოლონელთა მიერ მოწყობილ ვახშამს. მატჩის შემდეგ მორავეცკი ვილაცის მითითებით პერსონალურად გააგზავნეს დოპინ-კონტროლის კომისიაზეო.

ამასობაში მეორე ქვეჯგუფის მონაწილეებმა უკვე გაარკვიეს ურთიერთობა ერთმანეთში. კვირას საბჭოთა ნაკრებმა დიდი უპირატესობით აჯობა ჩეხოსლოვაკიას. — 6:1 (2:0, 3:0, 1:1). დანარჩენი ორი შეხვედრა დამთავრდა ასე: ავსტრია—ნორვეგია 4:4 (1:1, 1:2, 2:1), გფრ — აშშ 4:1 (2:0, 0:0, 2:1), ფინალში თამაშის უფლება ამ ჯგუფიდან მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა (გადამწყვეტ ეტაპზე მათ 4 ოქროს ქულა გადაჰყვათ), გფრ-მ (2 ოქროს ქულით) და ჩეხოსლოვაკიამ (არც ერთი ქულა არა აქვს).

შაბათს მეოთხე რაუნდის შეხვედრები ჩაატარეს პირველი ქვეჯგუფის მონაწილეებმა. აი, ეს შედეგებიც: შვეცია — ფინეთი 3:3 (1:0, 2:2, 0:1), კანადა — საფრანგეთი 9:5 (7:3, 0:1, 2:1), შვეიცარია — პოლონეთი 4:1 (4:0, 0:0, 0:1). გუშინ ამ ქვეჯგუფში ბოლო მატჩები ჩატარდა. ჯერჯერობით წინ არიან შვეციისა და კანადის ჰოკეისტები (6-6 ქულა). ფინეთის ნაკრებს 5 ქულა აქვს, შვეიცარიას — 4.

საბჭოთა მოთხილამურეები წარმატებას წარმატებაზე აღწევენ. განსაკუთრებით დამაჯერებელი იყო ქალთა გუნდის გამარჯვება ესტაფეტაში 4X5 კმ. თავად განსაჯეთ: მეორე ადგილზე გასულ ნორვეგიელებს ჩვენებმა 1 წუთი და 41,9 წამი მოუგეს. აი, ამ ესტაფეტის შედეგებიც: სსრ კავშირი — 59.51,1, ნორვეგია — 1:01.33,0, ფინეთი — 1:01.53,8. საბჭოთა ნაკრების ღირსებას ეტაპების მიხედვით იცავდნენ: მოსკოველი სვეტლანა ნაგეიკინა, ლენინგრადელი ნინა გავრილიუკი, იუევსკელი თამარა ტიხონოვა და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ანფისა რეზცოვა.

რბოლის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულებმა კომენტარი გაუკეთეს თავიანთ ბრძოლას ეტაპებზე:

**სვეტლანა ნაგეიკინა:** უმთავრესად სასტარტო ეტაპზე მაყენებენ, ამიტომაც კარგად ვიცოდი რა პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. ვფიქრობ, მწვრთნელთა იმედები არ გავაწბილე.

**ნინა გავრილიუკი:** თავდაპირველად მეშინოდა, რაიმე შემთხვევას ხელი არ შეეშალა. მაგრამ ერთწუთიანი მარაგი, რომელიც ჩვენს გუნდს პირველი ეტაპის შემდეგ ჰქონდა, გამარჯვების კარგი საწინდარი იყო. ეტაპზე ეს უპირატესობა შევინარჩუნე.

### მედლები

22 სახეობის შემდეგ მედლები ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნებს შორის ასე განაწილდა:

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 6 | 5 | 5 | 16 |
| გდრ | 6 | 3 | 1 | 10 |
| ავსტრია | 2 | 3 | 1 | 6 |
| შვეიცარია | 1 | 3 | 2 | 6 |
| ფინეთი | 2 | 0 | 2 | 4 |
| ნიდერლანდები | 0 | 2 | 2 | 4 |
| შვეცია | 2 | 0 | 1 | 3 |
| აშშ | 1 | 1 | 1 | 3 |
| გფრ | 1 | 1 | 1 | 3 |
| ნორვეგია | 0 | 2 | 1 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| კანადა | 0 | 1 | 1 | 2 |
| ჩეხოსლოვაკია | 0 | 1 | 1 | 2 |
| იტალია | 0 | 0 | 1 | 1 |
| იაპონია | 0 | 0 | 1 | 1 |

**თამარა ტიხონოვა:** მინდოდა ჩემს მონაკვეთზე ისეთი უპირატესობისთვის მიმეღწია, რომ რეზცოვას ბოლო ეტაპზე პრობლემა არ ჰქონოდა.

**ანფისა რეზცოვა:** რბოლის დროს მეუბნებოდნენ — თავს ნუ იკლავ, ყველაფერი კარგად მიდისო. მაგრამ ასეთ დროს ყურადღების მოდუნება არ შეიძლება. ჩემპიონები ყველაფერში ჩემპიონები უნდა იყვნენ.

კალგარის „ოვალში“ კი ამ დროს მოციგურე ვაჟები ამთავრებდნენ ოლიმპიურ ტურნირს. ბოლო სახეობაში — 10 000 მეტრზე რბენაში ყველას შვედმა თომას გუსტაფსონმა აჯობა. მან არა მარტო პირველი ადგილი დაიკავა, არამედ მსოფლიო რეკორდიც გააუმჯობესა — 13.48,20. სხვათა შორის, გუსტაფსონი ჯერჯერობით ერთადერთი ოლიმპიელია, რომელმაც აქ, კალგარიში, ორი ოქროს მედალი დაიმსახურა.

საბჭოთა სპორტსმენები ამჯერადაც თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდნენ. მათ შორის საუკეთესო შედეგი (VI ადგილი) მოსკოველ იური კლიუევს ჰქონდა — 14.09.68. საბჭოთა მოციგურე ვაჟებმა კალგარიში ოქროსა და ბრინჯაოს თითო მედალი მოიპოვეს.

„სტემპიდ კორალის“ ყინულზე ფიგურისტებმა პირველი ცეკვები შეასრულეს. ორი სავალდებულო ცდის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, დაწინაურდნენ საბჭოთა წყვილები: ნატალია ბესტემიანოვა — ანდრეი ბუკინი, მარინა კლიმოვა — სერგეი პონომარენკო. მესამე ადგილზე ჯერჯერობით ამერიკელები ტეისი უილსონი და რობერტ მაკოლი არიან. მათ სულ მცირედი სხვაობით კიდევ ერთი საბჭოთა წყვილი (ნატალია ანენკო — გენრიხ სრეტენსკი) მიჰყვება.

კვირას შეჯიბრება უნდა დაემთავრებინათ ბობსლეისტებს (ორადგილიანი). დარჩენილი იყო მესამე და მეოთხე რბოლა. ამ დროისთვის საბჭოთა ეკიპაჟი უახლოეს მეტოქეს (გდრ-ის წყვილს) მცირედით უსწრებდა წინ. მსაჯთა კოლეგიამ დიდი თათბირის შემდეგ სტარტი მისცა მესამე გარბოლს. მაგრამ მოულოდნელად ამოვარდა ძლიერი ქარი, თანაც ჰაერი 11 გრადუსამდე გათბა, ყინულმა დნობა იწყო და ტრასაც, ბუნებრივია, გაფუჭდა. ამიტომ მესამე რბოლის შედეგები გაუქმდა და შეჯიბრება ორშაბათისთვის გადაიტანეს.

## ოლიმპიური მოზაიკა

**კალგარიში** დიდი პოპულარობით სარგებლობს ბობსლეისტთა შეჯიბრება. ორადგილიანი ეკიპაჟების რბოლათა პირველ დღეს ტრიბუნებზე 29.500 კაცი დაესწრო. ეს კი, როგორც ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, „ოფიციალური მსოფლიო რეკორდია“.

**კანადელი** ტაქსისტები, რომლებიც კალგარიში ჩამოსულ ტურისტებს ემსახურებიან, უკმაყოფილობას გამოთქვამენ იმით, რომ მათ არა აქვთ ის შემოსავალი, რისი იმედიც ჰქონდათ. ათასობით ტურისტი ამჯობინებს სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას, ამას გარდა, კალგარის მრავალი ორგანიზაცია სტუმრებს ხშირად საკუთარ ტრანსპორტს უთმობს.

**თამაშების** დაძაბულობა, როგორც ჩანს, ემჩნევა არა მარტო სპორტსმენებს, არამედ ჟურნალისტებსაც. აქ ყველა ნერვიულობს. ასე, მაგალითად, საორგანიზაციო კომიტეტის პრესსამსახურის წარმომადგენელს ოტმარ სტეინს დაავიწყდა პარპრიზზე დაემაგრებინა პრესცენტრში მანქანის დაყენების საშვი, დარაჯი შეეცადა გზა გადაეღობა მისთვის, მაგრამ ო. სტეინმა ამას ყურადღება არ მიაქცია და ავტოსადგომში შეიჭრა. ამ დროს მან დარაჯს სათხილამურო ფეხსაცმელზე გადაუარა. იღბლად დაზიანდა მარტო ფეხსაცმელი, მაგრამ ინციდენტს მაინც იძიებს პოლიცია.



## სეზონის კონტურები

**ერთი** თვეც და საბჭოთა რეგბისტები წლეულს პირველ შეხვედრებს გამართავენ. წინა წლებისაგან განსხვავებით, სეზონი ამჯერად საკავშირო თასის XIV გათამაშების შესარჩევი შეჯიბრებით დაიწყება. თასისათვის მებრძოლი 24 გუნდი დაყოფილია ოთხ ქვეჯგუფად. საქართველოდან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი და თასის მფლობელი ქუთაისის „მშენებელი“ და თბილისის რკინიგზელ რეგბისტთა კლუბი. 16-დან 25 მარტამდე ქუთაისელები ყაბარდო-ბალყარეთის ქალაქ პროხლადნაიაში იასპარეზებენ. ქვეჯგუფში მათი მეტოქეები იქნებიან მოსკოვის „ფილი“, ლენინგრადის „პრიმორეცი“, ხარკოვის „ხტზ“, ნალჩიკის „უნივერსიტეტი“ და კაუნასის „პოლიტექნიკი“. იმავდროულად თბილისელი რკინიგზელები IV ქვეჯგუფში ითამაშებენ. ტურნირში, რომელსაც ყაზახეთის ქალაქი ჩიმკენთი უმასპინძლებს, მათ გარდა იასპარეზებენ მოსკოვის „სლავას“ პირველი და მეორე გუნდები, ალმა-ათის ასკ და „ისკრა“, მოსკოვის „სპარტაკი“. ქვეჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები მეოთხედფინალიდან ოლიმპიური სისტემით განაგრძობენ ბრძოლას, თასის მფლობელი კი 26 სექტემბერს გამოვლინდება.

პირველი სათასო მატჩების შემდეგ უმაღლესი ლიგის გუნდები ჩაებმებიან ქვეყნის XXV ჩემპიონატში. შეჯიბრება, რომელიც 30 მარტს დაიწყება, ოქტომბრამდე გასტანს. წლევანდელი ჩემპიონატი სამ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე შარშანდელი ჩემპიონატის შედეგების მიხედვით შერჩეული 12 გუნდი — ქუთაისის „მშენებელი“, მონინოს სსა, კიევის „ავიატორი“, მოსკოვის „სლავა“, ალმა-ათის ასკ, კრასნოიარსკის „ეტს“, მოსკოვის „ლოკომოტივი“, მოსკოვის „ფილი“, ტირასპოლის „ელექტრომაში“, თბილისის რკინიგზელ რეგბისტთა კლუბი, ლენინგრადის „პრიმორეცი“ და ტაშკენტის „ზვეზდა“ — 6 აგვისტომდე ორწრიან ტურნირს გამართავს. შემდეგ რვა საუკეთესო ჩემპიონობისათვის გააგრძელებს ასპარეზობას, ოთხ აუტსაიდერს კი პირველ ლიგაში დაწინაურებულ ოთხ გუნდთან მოუწევს თამაში უმაღლეს ლიგაში დასარჩენად. პირველი ლიგის გუნდები, რომელთა შორის იქნება შარშანდელი ჩემპიონატის ბოლოს დისკვალიფიცირებული თბილისის „შევარდენი“, ასევე 6 აგვისტოს დაამთავრებენ პირველი ეტაპის მატჩებს, თუმცა სასტარტო შეხვედრებს უმაღლესი ლიგის გუნდებზე გვიან — 23 აპრილს გამართავენ.

დავუბრუნდეთ უმაღლეს ლიგას. მეორე ეტაპზე გასული რვა გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყოფა. ერთში იასპარეზებენ პირველ, მეოთხე, მეხუთე და მერვე ადგილებზე გასული გუნდები, მეორეში კი ისინი, ვინც პირველ ეტაპზე მეორე, მესამე, მეექვსე და მეშვიდე ადგილებს დაიკავებენ. გუნდები ქვეჯგუფებში ორ წრედ კიდევ 6-6 მატჩს გამართავენ, რის შემდეგ ჩემპიონატის 28 ტურის მაჩვენებლების მიხედვით თითოეული ქვეჯგუფიდან შეირჩევა 2-2 საუკეთესო გუნდი. ისინი მესამე ეტაპზე პირველ-მეოთხე ადგილებისათვის იბრძოლებენ, მეხუთე-მერვე ადგილებისათვის კი მეორე ეტაპზე ხელმოცარული გუნდები იასპარეზებენ.

მესამე ეტაპზე გასული გუნდები კიდევ 4-4 მატჩს გამართავენ — ისინი შეხვდებიან მხოლოდ მათ, ვისთანაც მეორე ეტაპზე არ უთამაშიათ. ამ ოთხი შეხვედრის შედეგს დაემატება მეორე ეტაპზე ქვეჯგუფში ჩატარებული ორი მატჩის შედეგიც და საბოლოოდ მხოლოდ ამ 6-6 მატჩის შედეგების მიხედვით განაწილდება ადგილები.

რაც შეეხება საერთაშორისო შეხვედრებს, ჩვენი ქვეყნის ნაკრები მათ ჩემპიონატში გათვალისწინებული პაუზების დროს გამართავს. 24 აპრილს ქუთაისში ჩვენი გუნდი ფირა-ს 1987-89 წლების ჩემპიონატის მატჩში შეხვდება ესპანელებს, მაისის მეორე დეკადაში კი ფრანგებს უმასპინძლებს; ივნისის ბოლოს ნაკრები არგენტინაში გაემგზავრება ტურნეზე, 12-22 აგვისტოს კი თბილისში მოეწყობა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე, რომელშიც საბჭოთა რეგბისტების გარდა იასპარეზებენ პოლონეთის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გუნდები.

### ტელეტაიპი — მაუწყებელი

**სენტ-ჯონი** (კანადა). ჭადრაკში ელვისებურ თამაშში პირველი არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა საბჭოთა დიდოსტატმა მ. ტალმა. ფინალში მან ანგარიშით 4:0 მოუგო ასევე საბჭოთა დიდოსტატს რ. ვაჰანიანს.

ბლიც-ტურნირში მონაწილეობდა 26 ქვეყნის 700-მდე მოჭადრაკე, მათ შორის გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი.

**პლოვდივი.** ძალოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ბულგარელმა ალექსანდრ ვარბანოვმა (75 კგ) წლევანდელ სეზონში პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ორჭიდის ჯამში მან 382,5 კგ დასძლია (167,5-215,0). ძველი მიღწევა ეკუთვნოდა ახალი რეკორდსმენის თანამემამულეს ზრდავკო სტოიჩკოვს (377,5 კგ).

**ბერლინი.** გდრ-ის მძლეოსანთა შეჯიბრებაში კორნელია ოშკენატმა 50 მეტრზე თარჯრბენში 6,58 აჩვენა. ეს შედეგი დახურული დარბაზების ახალი მსოფლიო მიღწევაა. ძველი უმაღლესი მიღწევაც მას ეკუთვნოდა და 6,71-ს უდრიდა.

**ოკლენდი.** აშშ-ს ამ ქალაქში დამთავრდა „ვირჯინია სლიმსის“ სერიის ერთ-ერთი ტურნირი მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა მონაწილეობით. ფინალში მარტინა ნავრატილოვამ (აშშ) დაამარცხა 21 წლის ლვოველი ლარისა სავჩენკო 6:1, 6:2. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფინალამდე საბჭოთა ჩოგბურთელმა აჯობა გამოჩენილ სპორტსმენებს — ხანა მანდლიკოვას 6:3, 2:6, 7:6 და გაბრიელე საბატინის — 7:5, 6:4.

**მილანი.** ჩოგბურთელთა აქ გამართული ტურნირი „გრან პრის“ სერიით ფრანგმა იანიკ ნოამ მოიგო. მისი ფინალური მატჩი ჯიმი კონორსთან (აშშ) დროზე ადრე შეწყდა. კონორსმა ტრავმა მიიღო. ფინალამდე ნოამ დაამარცხა ორი ფავორიტი — პატ კეში (ავსტრალია) და ბორის ბეკერი (გფრ).

## ელექტრონული ტექნიკა მოჭადრაკეთა სამსახურში

**როგორც** ვიუწყებოდით, საფრანგეთის ქალაქ კანში მოეწყო უჩვეულო მატჩი ჭადრაკში. მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი ერთდროულად ხუთი კონტინენტის 10 ქვეყნის 10 ქალაქში, თანამგზავრების, კომპიუტერების, დისპლეებისა და თანამედროვე ელექტრონული ტექნიკის სხვა საშუალებების წყალობით დაუკავშირდა ძირითადად საერთაშორისო დიდოსტატებსა და ეროვნულ ჩემპიონებს და დაამარცხა ისინი ანგარიშით 8,5:1,5. ჩემპიონმა დათმო პარტია ინგლისელ მ. ადამსთან, ხოლო დაუზავდა სსრ კავშირის ახალგაზრდული პირველობის გამარჯვებულს, სვერდლოვსკელ მ. ულიბინს.

## „სპორტლოტო“

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-8 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 27 (მშვილდოსნობა), 34 (ბალახის ჰოკეი), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 15 (ზღვარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 17 (საციგურაო სპორტი), 20 (აფროსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 ~~6 7 8 9~~ 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10656

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 10673